



სიღარიბის დაძლევა მთელი მსოფლიოს, მათ შორის საქართველოს, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება. COVID-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა კი ბევრ ოჯახს შემოსავალი კიდევ უფრო შეუმცირა და აღნიშნული პრობლემა უფრო გაამძაფრა. 2021 წელს, NDI-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა 37%-ისთვის მთავარ პრობლემას კვლავ სიღარიბე წარმოადგენდა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, გადაწყვიტეთ, მიმოგვეხილა ბოლო ხუთ წელიწადში სიღარიბის მაჩვენებლის ცვლილებები.

	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	აღამიანური კაპიტალის ინდექსი	მრავალგანზომილებიანი სიღარიბის მდგარის მიღმა მოსახლეობა (%)	ჯინის ინდექსი	სიცოცხლის ხანგრძლივობა
წელი	2021	2020	2019	2021	2020
ინდიკატორი	5,015	0.57	3.8%	36.7	71.4
მსოფლიო პოზიცია	126	85	57	76	101
EaP პოზიცია	4	6	1	1	3

წყარო: საქსტატი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაცია


მრავალგანზომილებიანი სიღარიბის ინდექსი სიღარიბის სხვადასხვა ფორმებს მოიცავს, როგორც არის ჯანდაცვაზე და განათლებაზე არასაკმარისი წვდომა, დაბალი ცხოვრების დონე, მუშაობის დაბალი ხარისხი და ძალადობის საფრთხე. 2019 წელს საქართველოს მოსახლეობის 3.8% მრავალგანზომილებიანი სიღარიბეში იმყოფებოდა, რაც 120 ქვეყნიდან 57-ე, ხოლო EaP ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო. **ჯინის ინდექსი** საზოგადოებაში შემოსავლების განაწილებას ზომავს. 2021 წელს საქართველოს მაჩვენებელი 36.7-ს შეადგენდა, რაც 165 ქვეყნიდან 76-ე, ხოლო EaP ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი უთანასწორობის მაჩვენებელია. **სიცოცხლის ხანგრძლივობის** თვალსაზრისით, 2021 წელს საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ 71.4 წელი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში 101-ე და EaP ქვეყნებს შორის მე-3 ადგილს იკავებს. ამ მაჩვენებლების გათვალისწინებით, საერთაშორისო დონეზე საქართველო არის ზედა-საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანა³, რომელიც ხასიათდება უთანასწორობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზომიერი მაჩვენებლებით. არასაკმარისი ხარისხის განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების გამო, საქართველო ვერ ახერხებს აღამიანური კაპიტალის მობილიზებას ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალი დონის მისაღწევად⁴.

ვინაიდან სიღარიბეს მნიშველოვნად განსაზღვრავს შემოსავალი, ბოლო ათწლეულის სიღარიბის ტენდენციების ანალიზს შინამეურნეობების შემოსავლების მიმოხილვით ვინწყებთ. 2017-დან 2019 წლამდე, შინამეურნეობების ნომინალური შემოსავლები 1,182 ლარიდან 1,360 ლარამდე გაიზარდა. 2020 წელს, COVID-19 კრიზისის შედეგად, შინამეურნეობის ნომინალური შემოსავალი, 2019 წელთან შედარებით, 3%-ით შემცირდა. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, საქართველოს ეკონომიკა შესამჩნევად გაიზარდა შინამეურნეობის ნომინალური შემოსავლები 13%-ით გაიზარდა.

ქვეყნები განსხვავებული მეთოდოლოგიით განსაზღვრავენ სიღარიბის დონეს. ამიტომ, საერთაშორისო დონეზე საქართველოს მდგომარეობის უკეთ წარმოსაჩენად, მნიშვნელოვანია, იმ ინდიკატორების მიმოხილვა, რომლებიც უკავშირდება სიღარიბეს და განსაზღვრავენ მის ხარისხს.

2021 წელს, საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-მ 5,015 აშშ დოლარი შეადგინა, რაც მსოფლიოში 126-ე და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს (EaP) შორის მე-4 ადგილია. **აღამიანური კაპიტალის ინდექსი**² მიხედვით, რომელიც აფასებს ჯანმრთელობისა და განათლების წვლილს მშრომელთა პროდუქტიულობაში, 2020 წელს, საქართველო 0.57 ქულით, 174 ქვეყნიდან 85-ე და EaP ქვეყნებს შორის ბოლო ადგილზეა.

შინამეურნეობების თვიური ნომინალური და რეალური შემოსავალი




წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში მაღალი ინფლაცია ფიქსირდებოდა. ამიტომ, მნიშვნელოვანია შინამეურნეობების საშუალო შემოსავლების ინფლაციის გათვალისწინებით გაანალიზება. ანალიზისას ჩანს, რომ საშუალო რეალური შემოსავალი, საშუალო ნომინალური შემოსავლისგან განსხვავებით, გაანალიზებულ პერიოდში 1,182 ლარიდან 1,096 ლარამდე შემცირდა. 2021 წელს მაჩვენებელი 4%-ით გაიზარდა 2020 წელთან შედარებით, თუმცა 2019 წელთან შედარებით 6%-ით ნაკლები რჩება.

თუ შინამეურნეობების შემოსავლებს ჯგუფებად დავყოფთ, ჩანს, რომ ყველაზე დაბალი შემოსავლის მქონე ჯგუფი (0-დან 500 ლარამდე) ბოლო ხუთ წელიწადში მნიშვნელოვნად, 8 პროცენტული პუნქტით (პპ) შემცირდა და 21%-მდე დაეცა. ამავედროულად, ყველა სხვა ჯგუფის ზომა მცირედით გაიზარდა: 2021 წლის მაჩვენებლების, 2017 წელთან შედარებისას, ჩანს რომ იმ შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც თვეში 501-დან 1000 ლარამდე იღებენ, 1 პპ-ით გაიზარდა, ხოლო თვეში 1001-1500 ლარამდე შემოსავლის მქონე შინამეურნეობების წილი 2 პპ-ით.

შინამეურნეობების თვიური შემოსავალი კატეგორიების მიხედვით




წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

2017 წელს, შინამეურნეობების 79% ხვდებოდა სამ ყველაზე დაბალშემოსავლიან, ხოლო 61% კი ორ ყველაზე დაბალშემოსავლიან კატეგორიაში. 2021 წლისთვის, ეს მაჩვენებლები 74%-დან 51%-მდე შემცირდა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შინამეურნეობების ნომინალური შემოსავლები გაიზარდა, 2021 წელს საქართველოში შინამეურნეობების 54%-ს კვლავ 1000 ლარზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა. მეტიც, 2017 წლის ფასებზე მორგებული შემოსავლის სტატისტიკა აჩვენებს, რომ შინამეურნეობების 54%-ს რეალური შემოსავლები 806 ლარს არ აღემატებოდა.

1. <https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20-%20PPI%20-%20August%202020%20-%20EO%20-%20Final.pdf>
 2. <https://blogs.worldbank.org/openknowledge/world-bank-country-classifications-income-level-2021-2022>
 3. <https://blogs.worldbank.org/openknowledge/world-bank-country-classifications-income-level-2021-2022>
 4. <https://bm.ge/article/adamiari-kapitalis-indeksi-sagartveloshi-quotproduktivi-43-s-umozraod-tovbe-magidazequot64219>

სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი




წყარო: საქსტატი

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გაზრდილმა ნომინალურმა შემოსავალი გავლენა იქონია სიღარიბის მაჩვენებელზე და 2021 წელს აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვევით მცხოვრები ადამიანების ყველაზე მცირე წილი დაფიქსირდა.

2017-2021 წლებში, საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს⁵ მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი 21.9%-დან 17.5%-მდე შემცირდა. 2020 წელს, COVID-19-ის კრიზისის გამო, 2019 წელთან შედარებით, სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის წილი 1.8 პპ-ით გაიზარდა. სოფლად მცხოვრებთათვის კრიზისი შედარებით ძლიერი აღმოჩნდა და 3.8 პპ-ით გაიზარდა, ხოლო ქალაქად - 0.7 პპ-ით. თუმცა 2021 წელს ეკონომიკური ზრდა სიღარიბის სტატისტიკაზეც აისახა და აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვევით მცხოვრები მოსახლეობის წილი 3.8 პპ-ით შემცირდა. აბსოლუტური სიღარიბის მსგავსად ფარდობითი სიღარიბის ზღვარს⁶ მიღმა მყოფი მოსახლეობის წილის დინამიკაც კლებადია და მაჩვენებელი 22.3%-დან 18.9%-მდე შემცირდა.

სიღარიბის აბსოლუტურ და ფარდობით ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის წილის კლების მიუხედავად, 2017-2021 წლებში სოციალური შემწეობის მიმღები ადამიანების წილი საქართველოს მოსახლეობაში 12.1%-დან 15.8%-მდე გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ COVID-19-ის კრიზისმა სავარაუდოდ გავლენა იქონია საარსებო შემწეობის მიმღები ბენეფიციარების რაოდენობის ზრდაზე⁷.

ნომინალური და რეალური საარსებო მინიმუმი საშუალო ოჯახისთვის



წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგიამ შესაძლოა, გუსტად არ ასახოს აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი. საარსებო მინიმუმის დაანგარიშებისას საქსტატი ადგენს საკვების შესაძენ თანხას, რომელიც საშუალო ოჯახს კალორიების საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფს. აღნიშნული თანხა შემდგომში განისაზღვრება, როგორც საარსებო მინიმუმის 70%, შესაბამისად დარჩენილი არასასურსათო ხარჯების წილი 30%-ს შეადგენს. თუმცა საქსტატის მიხედვით, 2021 წელს საქართველოში საშუალო ოჯახის დანახარჯები საკვებზე, სასმელებსა და თამბაქოზე აუცილებელი დანახარჯები⁸ (საკვები,თამბაქო, სასმელი და ტრანსპორტი, კომუნალური გადასახადები, ჯანდაცვა) 54%-ს შეადგენდა, შესაბამისად არა სასურსათო ხარჯების წილი საარსებო მინიმუმში უნდა განისაზღვროს, როგორც მინიმუმ 46%. ამ მონაცემის (54%/46%-იანი პროპორცია) მიხედვით, საქსტატის მიერ გამოქვეყნებული საარსებო მინიმუმი 99 ლარით იზრდება და 433 ლარს აღწევს.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ 2017-2021 წლებში შინამეურნეობების ნომინალური შემოსავალი გაიზარდა, რამაც გამოიწვია საქართველოში აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი ადამიანების წილის კლება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდში შემცირდა შინამეურნეობების რეალური შემოსავალი და გაიზარდა საარსებო შემწეობის მიმღები ადამიანების რაოდენობა. სავარაუდოა, რომ საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობის ზრდის შედეგად, ოჯახების რაოდენობა, რომლებსაც შემწეობის მიღების შედეგად დაუგროვდათ საკმარისი შემოსავალი და ხარჯები სიღარიბის აბსოლუტური ზღვარის გადასალახად გაიზარდა, რამაც გავლენა იქონია სიღარიბის შემცირებულ მაჩვენებლებზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აბსოლუტური სიღარიბის უფრო უსტიკო მაჩვენებლის მისაღებად, შესაძლოა, საჭირო იყოს საარსებო მინიმუმის დათვლის მეთოდოლოგიის გადახედვა.

5. აბსოლუტური სიღარიბის ზღვარი ანაბეს სიმკვრივისგან მისაღწევად და სარეგიონო განვითარების მიზნების მიხედვით განისაზღვრება. https://www.geostat.ge/media/29275/0702_050220_GE.pdf

6. სიღარიბის ფარდობითი ზღვარი განისაზღვრება ქვეყნის შიდა მშპ-ის პროცენტის დასაბუთებით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით. https://www.geostat.ge/media/29275/0702_050220_GE.pdf

7. 2021 წლის აღწერის საერთაშორისო მეთოდის მიხედვით, საშუალო ოჯახის შემოსავალი 2021 წლის მონაცემების მიხედვით 2021 წლის მონაცემების მიხედვით. https://www.geostat.ge/media/29275/0702_050220_GE.pdf


8. საბაზისო არ გამოქვეყნებულია საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმის 2021 წლის მონაცემების მიხედვით. 2021 წლის მონაცემები გათვლილია PMC-ის მიერ.

9. აუცილებელი დანახარჯები დაფიქსირდა PMC კვლევითი ცენტრის მიერ.

საერთაშორისო სიღარიბის ზღვარზე გვირგვინებს, ქვეყნის მოსახლეობის რა ნაწილი ცხოვრობს დღიური შემოსავლის \$1.9, \$3.2 და \$5.5-ის მიღმა. აღნიშნულ მაჩვენებლებზე დაკვირვება მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის საზოგადოების დაბალშემოსავლიან მოსახლეობაზე. 2017-2019 წლებში, საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის წილი მცირედით შემცირდა. თუმცა, 2020 წელს COVID-19 კრიზისის გამო მოსახლეობის წილი, რომელიც საერთაშორისო სიღარიბის ზღვარს ქვევით ხვდებოდა, გაიზარდა.

2017-2020 წლებში, \$1.9-იანი სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის წილი 5%-დან 4.2%-მდე შემცირდა. ამავე პერიოდში, მოსახლეობის წილი, რომლის ყოველდღიური შემოსავალი \$3.2-ზე ნაკლებია, 16.1%-დან 17%-მდე გაიზარდა, \$5.5-ის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის წილი კი 43%-დან 46.6%-მდე გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ თუ გავითვალისწინებთ 2021 წელს შინამეურნეობის შემოსავლების ზრდას, 2021 წელს სავარაუდოდ შემცირდებოდა სიღარიბის საერთაშორისო ზღვარების მიღმა მცხოვრები ადამიანების წილიც.

შემწეობის მიმღები და აბსოლუტური და ფარდობითი სიღარიბის ზღვარს ქვევით მცხოვრები მოსახლეობა



წყარო: საქსტატი

სიღარიბის გასაზომად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი საარსებო მინიმუმი, რადგან ეს მაჩვენებელი გამოიყენება აბსოლუტური სიღარიბის დონის განსაზღვრისას. საშუალო ზომის შინამეურნეობის საარსებო მინიმუმი აღნიშნავს შემოსავლის მინიმალურ დონეს, რომელიც საჭიროა საქართველოში საშუალო ოჯახის აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

2017-2021 წლებში საშუალო ოჯახისთვის ყოველწლიური საარსებო მინიმუმი 48 ლარით გაიზარდა და 334 ლარს მიაღწია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ნომინალური საარსებო მინიმუმის ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იწვევს ინფლაციის მაღალმა დონემაც იქონია და რეალური მაჩვენებელი პირიქით 2017 წელს 286 ლარიდან 2021 წელს 271 ლარამდე შემცირდა.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2018	2019	2020	2021	2022 კვ.
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	17 596.6*	17 470.7*	15 888.1*	18 700.1*	4 610.4
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 722.0*	4 696.2*	4 274.6*	5 015.3*	1 249.9
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	4.8%	5.0%	-6.2%*	10.4*	14.9
ინფლაცია	2.6%	4.9%	5.2%	11.8%	13.2%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 317.1	1 335.8*	572.0	1 152.8*	568.2
უმუშევრობის დონე (%)	19.2%	17.6%	18.5%	20.6%	20.6%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5 434	5 741	7 535	7 956	7 751
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	20.5%	20.1%	19.7%	18.9	-

*წინასწარი მონაცემები



ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი მინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამომხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

მემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- o პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- o რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევას ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამომწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევითი ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგებლობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის მინაარსთან, გამოყენებას ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შემლუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

სოფო ბასილიძე
მკვლევარი
s.basilidze@pmcginternational.com

ნიკოლოზ ბაქრაძე
უმცროსი მკვლევარი
n.bakradze@pmcginternational.com